



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 21 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №7/22
მოსამართლე --- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 24 იანვრის №7 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 3 თებერვალს №6/7-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით სასამართლოს სარჩელით მიმართა 2018 წლის 3 აგვისტოს, რის შემდგომაც საქმეზე ჩატარდა მხოლოდ ერთი სხდომა, მომდევნო სხდომა კი ჯერ ჩანიშნული არ არის. ამასთან, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მან შეიტყო მოსამართლის ოჯახის წევრისა და მოპასუხეების ახლო ურთიერთობის შესახებ, რაც შესაძლოა არ იყოს ცნობილი თავად მოსამართლისთვის. კერძოდ, მოსამართლის მეუღლე დასაქმებულია ---, სადაც ასევე დასაქმებულია მოპასუხეების სიძე.

1.2. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერებას. კერძოდ, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ მოსარჩელე მხარეს ორჯერ უთხრა უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე და შეცვალა უზრუნველყოფის ღონისძიების საგანი ისე, რომ არ მოისმინა მისი პოზიცია. ამასთან, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა მოპასუხის სალაროში არსებულ ფულად თანხებზე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 24 ივლისს --- სასამართლოს განცხადებით მიმართა --- და მოითხოვა მომავალი მოპასუხეების ---, --- და --- მიმართ და სარჩელის აღდგრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

--- სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის განჩინებით --- მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სარჩელის აღდგრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სავარაუდო მოპასუხეებს ---, --- და --- აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

-- -- 2018 წლის 3 აგვისტოს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- და -- -- მიმართ გარიგების ბათილად ცნობის, მიუღებელი მოგების (შემოსავლის) და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამასთან, 2019 წლის 20 მაისს მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი.

2018 წლის 12 ოქტომბერსა და 2019 წლის 1 აგვისტოს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2019 წლის 31 ივლისს საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --.

2019 წლის 12 დეკემბერსა და 2020 წლის 7 სექტემბერს, ასევე, 2021 წლის 5 და 19 აპრილს მოსარჩელემ განცხადებებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმეზე სასამართლო სხდომის ჩატარება.

2021 წლის 3 ივნისს მოპასუხეებმა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადებით მიმართეს სასამართლოს. 2021 წლის 7 ივნისს სასამართლომ მიიღო განჩინება უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ.

2021 წლის 13 და 14 ივლისს მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა საჩივარი, 23 ივლისს კი დაზუსტებული საჩივარი -- -- სასამართლოს 2021 წლის 7 ივნისის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

2021 წლის 20 ივლისს მოსარჩელემ გადიდებული სასარჩელო მოთხოვნით სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 20 და 29 ივლისს მოპასუხე მხარეებმა შესაგებელი და დაზუსტებული შესაგებელი წარადგინეს სასამართლოში.

2021 წლის 20 ივლისს მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობით. კერძოდ, მხარემ მოითხოვა სასამართლომ გამოითხოვოს შემდეგი სახის ინფორმაცია: -- -- სალაროში ნაღდი ფულის სახით ამჟამად ინახება თუ არა -- ლარი; თუ აღნიშნული თანხა გახარჯულია, სასამართლომ დაავალოს -- -- დირექტორს წარმოადგინოს მისი გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2021 წლის 20 ივლისს ჩატარდა სასამართლო სხდომა.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 30 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 3 ნოემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 29 ნოემბერს მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა საჩივარი, 13 დეკემბერს კი დაზუსტებული საჩივარი -- -- სასამართლოს 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

2021 წლის 30 დეკემბერს მოსარჩელემ გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, სარჩელის დამატებითი უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 31 დეკემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2022 წლის 18 იანვარს მოსარჩელემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში -- -- სასამართლოს 2021 წლის 31 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2022 წლის 28 იანვრის განჩინებით -- -- საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის N^{დს-შ/9-16} გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს

კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეს ანიჭებს უფლებას მოითხოვონ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა ხელი არ შეეშალოს ანდა შეუძლებელი არ გახდეს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. კერძოდ, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად, რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

მოცემულ საქმეზე 2018 წლის 24 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელის აღძვრამდე მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა ნაწილობრივ. რის შემდგომაც, მოპასუხე მხარემ მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა მოითხოვა. მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ თუ მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის საგნის შეცვლა არის გამართლებული და არ არსებობს აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის საფრთხე.

ამასთან, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 20 ივლისს მოსარჩელე მხარემ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა. გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოსარჩელე მხარემ 2021 წლის 3 ნოემბერსა და 30

დეკემბერს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებებით მიმართა სასამართლოს. რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. მხარის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენის შემდეგ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს სასამართლო საქმის გარემოებების ყოველმხრივი ანალიზის და იმ შესაძლო რისკების გონივრულ ფარგლებში შეფასებით, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებას ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შეიძლება მოჰყვეს.

რაც შეეხება, მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკითხს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი. ამასთან, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

ამდენად, განჩინების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს -- -- №7 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №7/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი